პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით! | სამშაბათი, 30 ივნისი 1925 წ. | წელიწადი მეხუთე | ფასი 3 კ.—თვიურად 60 კ.

# წითელი არმიელი

№ 144 (842) | 1 და 2 ქართული მსრ. დივ. პოლიტ-განების ყოველდღიური გაზეთი | რედაქც. მისამართი: ტფ., ევანგულოვის ქუჩა ელსმენი 2—24 განცხადების ფასი პირ. გვ. 40 კ. ნომპ. სტრ.

## ბრძოლა მწვავდება.

ჩინეთში ისევ გამწვავებული მდგომარეობაა. უკვე ერთი თვე შესრულდა, რაც დაიწყო ანტი იმპერიალისტური მოძრაობა იქ.

უნდა აღინიშნოს, რომ მთელ ამ პერიოდში ჩინეთის ხალხის ბრძოლა უცხოეთის მოძალადეების წინააღმდეგ მშვიდობიან ფორმებს არ გასცილებია.

ეს ბრძოლა გამოიხატება გაფიცვებში, მშვიდობიან დემონსტრაციებში, პროტესტებში და სხვა. რა რიგ სიძულვილით და აღშფოთებით არ არიან აღვსილი ჩინელები უცხოელ მჩაგვრელების წინააღმდეგ, მაგრამ ისინი მაინც იშვიათ თავდაჭერილობას იჩენენ და უცხოელებს ხელს არ ახლებენ.

მაგრამ სულ სხვანაირად მოქმედებდენ „კულტუროსანი" იმპერიალისტები. მათ არ იკმარეს არც შანხაის და არც ხანკოუს დახვრეტა.

ამ უკანასკნელად მათ ჩაიდინეს უფრო საზიზღარი და აღმაშფოთებელი მხეცობა.

კანტონში მშვიდობიან, შეუიარაღებელ ჩინელების დემონსტრაციას ინგლისელებმა და ფრანგებმა მოულოდნელად უტყხეს სროლა ტყვიამფრქვევებიდან და შაშხანებიდან და მოჰკლეს ასზე მეტი კაცი. როგორც კანტონის გუბერნატორი იტყობინება ეს ვერაგობა იმპერიალისტებმა ჩაიდინეს წინასწარ შედგენილი გეგმის თანახმად. ამაზედ მეტი უტიფრობა, ამაზედ მეტი თავხედობა და თავგასულობა წარმოუდგენელია.

ინგლისელები და ფრანგი იმპერიალისტები ასობით ხოცავენ ჩინელებს თვით ჩინეთში წინასწარი შედგენილ გეგმით, ხოლო შემდეგ გამოდიან და ლაპარაკობენ, რომ ჩვენ არაფერ შუაში ვართო, ვინაიდან თვით ჩინელები დაგვესხენ თავსო. კანტონის მთავრობის დღევანდელი ნოტა კარახანისადმი სავსებით ამათილებს ამ საზიზღარ სიცრუეს. იმპერიალისტებმა ესროლეს მშვიდობიან დემონსტრანტებს წინასწარ გათვალისწინებული გეგმით.

იმპერიალისტებს ასეთ პროვოკაციულ მხეცობას აქვს თავისი მიზანი. ამით ბურჟუაზიულ წურბლებს სურთ გააჩაღონ სამოქალაქო ომი.

მაგრამ ამ ბრძოლაში ისინი სრულიად არ აპირებენ მონაწილეობის მიღებას. სამოქალაქო ომი მათი აზრით უნდა გაიმართოს მათ მხარეზე მყოფ გამყიდველ ჩინელ ღენერლების ჯარსა და ჩინეთის ხალხის შორის.

მაგრამ ეს ხრიკები იმპერიალისტებს არ გაუვათ. ჩინეთის ხალხის მოთმინებამ, მისმა აღშფოთებამ უმაღლეს წერტილს მიაღწია. იმპერიალისტები თავის მოქმედებით ცეცხლზე ნავთს ასხამენ.

კიდევ ერთი ასეთი მხეცური მოქმედება, რომელსაც ადგილი ჰქონდა კანტონში—და ჩვენ სრული დარწმუნებული ვართ ჩინეთის ხალხის აღშფოთება გარდაიქცევა სამკვდრო-სასიცოცხლო ბრძოლათ იარაღით ხელში უცხოეთის იმპერიალისტების წინააღმდეგ. ეს კი აუცილებლად უნდა მოხდეს. ჩინეთის ხალხს უცხოელების ბატონობისაგან ვერ იხსნის ვერავითარი საპროტესტო ნოტები და დემონსტრაციები.

ერთად ერთი გამოსავალია იარაღით ხელში დაუპატიჟებელ მძარცველების გარეკა ჩინეთის საზღვრებიდან.

და ეს იქნება კიდეც!

## შანხაიში გაიხსნა სავაჭროები და ბანკები.

26 ივნისი ჩინეთში ჩვეულებრივად ვაჭრობის დღესასწაულია. გაფიცვებზე დაკეტილი იყო სავაჭრო დაწესებულებები.

ვაჭრები მოითხოვდენ ამ დღესასწაულისთვის სავაჭრო დაწესებულებების გაღებას. შანხაის პროფკავშირთა ორგანიზაციები ამის წინააღმდეგ მიდიოდენ, გაფიცვების შთაბეჭდილება შემცირდებაო.

ბოლოს პროფორგანიზაციები დასთანხმდენ სავაჭროების გაღებაზე შემდეგ პირობებში: ვაჭრების მიერ გაფიცვების შეწყვეტა არ ეხება მუშათა გაფიცვებს.

სავაჭრო პალატა ვალდებულია მატერიალური დახმარება გაუწიოს გაფიცულ მუშებს და სხვა.

გაიხსნა რამოდენიმე სავაჭრო და ბანკი.

# ახალი რადიო-ამბები

## ჩინეთის ამბები.

**საფრანგეთის მუშები მოითხოვენ ზავის ჩამოგდებას რიფებთან და მათი დამოუკიდებლობის ცნობას.**

### მოითხოვენ ზავის ჩამოგდებას რიფებთან.

საფრანგეთის სამთო-მადნო მუშების კონგრესზე კარმოში მიღებულია რეზოლიუცია, რომელიც მოითხოვს მშვიდობიან მოლაპარაკებას რიფებთან მათი დამოუკიდებლობის ცნობის საფუძველზე.

### პეკინის სტუდენტები საბჭოთა სტუდენტებს.

პეკინის სტუდენტთა კავშირმა გაუგზავნა საბჭოთა კავშირის სტუდენტებს საპასუხო დეპეშა, რომელშიაც ნათქვამია: „თქვენი დეპეშა გვ მხნევებს ბრძოლაში იმპერიალისტების წინააღმდეგ. ჩვენ ვიცით, რომ თქვენ ღებულობდით მონაწილეობას თქვენი ხალხის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში და ჩვენც გამოგვიწოდებთ ხელს ჩინეთის გათავისუფლებისთვის ბრძოლაში".

### კანტონის საგარეო საქმეთა მინისტრის ნოტა კარახანისადმი.

23 ივნისს კანტონში დემონსტრანტებს ტყვიამფრქვევები დაუშინა უცხოეთის შეიარაღებულმა ძალებმა. ამის გამო კანტონის მთავრობის საგარეო საქმეთა მინისტრმა გაუგზავნა კარახანს ნოტა, რომელშიაც ნათქვამია:

„23 ივნისს კანტონში მოხდა შანხაის მსხვერპლისადმი თანაგრძნობის დემონსტრაცია. დემონსტრაციაში მონაწილეობდენ ვაჭრები, სტუდენტები, სამხედრო სკოლების მოსწავლეები, მუშები და გლეხები. შამენთან დემონსტრანტებს აუტეხეს სროლა. ჯერ-ჯერობით მიღებულ ცნობით მოკლულთა რიცხვი 100 კაცს უდრის. მალე დაიწყება საქმის გამოძიება. მაგრამ მანამდი ცივილიზაციისა და კაცობრიობის გულისთვის მე უნდა მოგმართოთ თქვენ, პეკინში მყოფ დიპლომატიურ წარმომადგენლებს სასტიკი პროტესტით იმპერიალისტების ასეთი მხეცობის წინააღმდეგ.

ეს მხეცური მოქმედება იყო მით უფრო აღმაშფოთებელი, რომ დემონსტრანტები მოშორებული იყვნენ შამენზე და უკანასკნელის გამაგრების გამო, დემონსტრანტებს მაინც არ შეეძლოთ რაიმე ზიანის მიყენება.

ამის გამო ხალხი დიდად აღშფოთებულია. მაგრამ მთავრობა ყოველღონისძიებას იხმარს უცხოელ ეროვნებათა დასაცავად და შთააგონებს ხალხს, რომ ბრძოლა უნდა სწარმოებდეს უცხოელთა იმპერიალიზმის სისტემის წინააღმდეგ და ბრძოლის საშუალებები ღირსი უნდა იყოს მიზნებისა".

### რეპრესიები გრძელდება.

ჩინეთის პოლიცია განაგრძობს რეპრესიებს საბჭოთა კავშირის მოქალაქეთა წინააღმდეგ ხარბინში ჩინეთ—აღმოსავლეთის რკინისგზის ხაზზე. აკრძალულია არამც თუ მუშათა კრებები, არამედ კონცერტები და წარმოდგენები მუშათა კლუბებში.

შანხაიში და ხანკოუში გაემართა მრავალი თეთრგვარდიელები სხვადასხვა პოლიციის სამსახურში შტრეიკბეხერებად.

### შოტლანდიის მუშების ენერგიული ბრძოლა.


რობერტ სმაილი.

შოტლანდიის სამთომადნო მუშათა ლიდერი რობერტ სმაილი შეეხო მიტინგზე სამრეწველოს კრიზისს და მოუწოდა მუშებს გაერთიანდენ და წინაღუდგენ სამუშაო ხელფასის დაკლებისა და სამუშაო დღის გადიდების ყოველგვარ ცდებს. მან განაცხადა: „თუ საჭიროა მსხვერპლი, რატომ არ უნდა შესწირონ მემამულეებმა და მიწად მფლობელებმა თავიანთი უპირატესობანი?"

მუშათა პარტიის წევრმა და პარლამენტის ფრაქციის დეპუტატმა მაკსტონმა თავის სიტყვაში იგივე აზრი გაატარა და გამოსთქვა იმედი, რომ შეკავშირებული მუშები მიჰბაძავენ კუკის რჩევა-დარიგებებს და შეერთებული ძალით გამოვლენ საერთო მტრის წინააღმდეგ.

### მაროკოს ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში.

საფრანგეთის რკინის გზელთა პროფკავშირის ეროვნულ კონგრესზე გამოტანილ იქნა რეზოლიუცია მაროკოს ომისა და ინტერვენციის წინააღმდეგ ჩინეთში.

### ჩჟან-სუ-ლიანი იმპერიალისტების მოსამსახურეა.

სრულიად ჩინეთის სტუდენტთა კავშირმა გამოაქვეყნა მოწოდება, რომელშიაც ჩჟან-სუ-ლიანს აცხადებენ ბრიტანეთის იმპერიალიზმის დაქირავებულად და ჩინეთის ხალხის მტრად.

კავშირი მოუწოდებს მასებს იმპერიალისტების წინააღმდეგ ბრძოლისაკენ.

### კანტონიდან ცნობები არ მოდის.

მიუხედავად მრავალი შეკითხვისა ტელეგრაფით, კანტონიდან დღემდი არავითარი ცნობა არ მოსულა: როგორც სჩანს ყოველ ცნობას კანტონში იჭერენ. რეიტერის სააგენტო თავის ცნობებში ცდილობს დაამტკიცოს, რომ სროლა დაწყებულ იქნა ჩინეთის სტუდენტებისა და სამხედრო პირების მიერო. უკანასკნელ შეტაკების დროს მოკლულ—დაჭრილთა რიცხვი 120 კაცს უდრის.

### „დეილი ექსპრესი" მაროკოს შესახებ.

**„აბდ-ელ-ქერიმის გამარჯვება ბოლოს მოუღებს საფრანგეთის იმპერიალისტურ ზრახვებს მაროკოში."**

ინგლისური გაზეთი „დეილი ექსპრესი" განმარტავს აბდ-ელ-ქერიმის ახალ გამოსვლას და აცხადებს, რიფების აჯანყება გამოიწვევს საფრანგეთის მაროკოს ყველა ტომების აჯანყებასო. გაზეთს მაგალითად მოჰყავს მაროკოს პარტიზანების თავდასხმა საფრანგეთის საახალშენო ლეგიონზე. გაზეთი აღნიშნავს, რომ აბდ-ელ-ქერიმის გამარჯვება ფრანგებზე ბოლოს მოუღებს საფრანგეთის მტაცებლურ ზრახვებს მაროკოში.

## კაიოს საფინანსო გეგმა.

**საფრანგეთის მთავრობის საფინანსო გეგმა.**

26 ივნისს საფრანგეთის მთავრობის სხდომაზე პენლევეს თანდასწრებით ირჩეოდა მთავრობის საფინანსო გეგმა.

სოციალისტების სახელით კონტრ-გეგმის დასაცავად კაპიტალის დაბეგვრის შესახებ გამოვიდა ბლიუმი; კომუნისტების სახელით კონტრ-გეგმით კაპიტალის დაბეგვრისა და ბანკების ნაციონალიზაციის შესახებ კი—გარშერი.

სოციალისტების კონტრ-გეგმა უარყოფილ იქნა 340 ხმით 210-ს წინააღმდეგ.

## გარანტიანი სესხი

პალატამ ხმის უმეტესობით მიიღო კანონ-პროექტის მუხლი გარანტიან სესხის შესახებ. ბლიუმმა კენჭის ყრამდი გამოსთქვა რწმენა, რომ სესხი სრულიად წარმატებითი იქნება.

შემდეგ ბლიუმმა დაუმატა, რომ სოციალისტები თავს შეიკავებენ კენჭის ყრაზე, მაგრამ წინააღმდეგაც არ მისცემენ ხმასო.

მისი აზრით, კაბინეტი რომ საფრთხეში იყოს, სოციალისტები ხმას მისცემდენ მაშინ.

**ემისიის გადიდება. საფინანსო გეგმა მიღებულ იქნა.**

პენლევეს მიერ მთავრობის ნდობის საკითხის დაყენების შემდეგ, დეპუტატთა პალატამ 328 ხმით 119-ს წინააღმდეგ მიიღო მუხლი, რომელშიაც გათვალისწინებულია ემისიის გადიდება 6 მილიარდ ფრანკით.

სოციალისტების უმეტესობამ თავი შეიკავა ხმის მიცემის დროს.

საფინანსო კანონ-პროექტი მიღებულ იქნა 273 ხმით 11-ს წინააღმდეგ.

## საბჭოთა კავშირში

### გერმანიის სტუდენტ-ტერორისტების გასამართლება.

**კინდერმანი სიცილით თვალებში აუხვიოს სასამართლოს.**

22 ივნისის საღამოს სხდომაზე გრძელდება დიტმარის დაკითხვა. ის ამბობს თუ როგორი მზადება ქონდათ საბჭოთა კავშირში გამოსამგზავრებლად, როგორი ხდებოდა სხდომები და სხვა. კინდერმანი და ვოლშტი უარყოფენ დიტმარის ჩვენების სინამდვილეს.

## პარტიული ცხოვრება.

### დივ. პოლიტ განის კომუჯრედში.

ბევრად გამოცოცხლდა მუშაობა ჩვენ კომუჯრედში მას შემდეგ რაც გაბმული იქნა კავშირი ცეკავშირის და არმიის სამმართველოს სტამბების კომუჯრედებთან იმის გარდა რომ ურთი ერთ კავშირისათვის აღნიშნულ კომუჯრედებისაგან არიან გამოყოფილი პარტამხანაგები, თვეში ერთხელ ხდება აგრეთვე გაერთიანებული კრებები. უკანასკნელ კრებაზე, რომელიც მოხდა 19 ივნისს, ტერ ალმშენებლობის შესახებ გააკეთა მომხსენებელს დივიზიის სამხკომმა ამხ. მარქაროვმა. ის მრავალი შეკითხვები, რომელიც მიეცა მომხსენებელს სტამბების მუშების მიერ, მაჩვენებელია იმისა, რომ ფართე მშრომელთა მასებში ილვიძებს სამხედრო საქმისადმი ინტერესი.

აქედან გამომდინარეობს ის რომ კავშირი მუშებსა, სამხედრო პარტორგანიზაციებსა და ახ. ლ. კ. კავშირის უჯრედთა შორის უპირველეს ყოვლისა უნდა იქნეს გამოყენებული მუშათა ფართე მასებში სამხედრო პროპაგანდისათვის, სამხედრო საქმის გავრცელებისათვის. ჩვენ კომუჯრედში ამისათვის უკვე გადადგმული იქნა პრაქტიკული ნაბიჯები და აღნიშნულ კრებაზე გამოტანილი იქნა დადგენილება, რომლის თანახმად დაევალა პოლიტგანყოფილების კომუჯრედის ბიუროს გამოჰყოს პარტამხანაგები მიმაგრებულ სტამბებში სამხედრო კუთხის მოსაწყობად.

ამის გარდა დაკავშირებულ კომუჯრედებთან ერთად ამ მოკლე ხანში უნდა იქნეს ალებული შეფობა ერთ ერთ ტფილისის ახლო მდებარე სოფელზე, რისთვისაც სამივე კომუჯრედების შემადგენლობიდან გამოყოფილი იქნა საშეფო კომისია.

ვინაიდან მხოლოდ კრებების საშვალებით ვერ განმტკიცდება კომუჯრედთა შორის კავშირი და ურთიერთ გაცნობა, დავადგინეთ ზაფხულის პერიოდის განმავლობაში მოვაწყოთ რამოდენიმე ექსკურსია. პირველი ექსკურსია უნდა მოეწყოს ზემო-ავჭალის ელექტრონის სადგურზე.

ი. რუდოვსკი.

## პარტ-განათლება.

**საარტილერიო ლეგიონი.**

ბანაკად გასვლამდე ლეგიონში არსებობდა 1-ლ საფეხურის პოლიტ-სკოლა, რომელიც ორ ჯგუფად იყო გაყოფილი. აქ მეცადინეობდენ როგორც პარტიულები ისე კომკავშირის წევრები, მაგრამ გამოცდილებამ დაგვანახა რომ ბევრი ამხანაგი, უმეტესად კომკავშირელი, ვერ ითვისებდა განვლილ მასალას.

ამიტომ ბანაკში ჩვენ ეს სუსტი კომკავშირელები გამოვყავით და ცალკე დავაარსეთ მათთვის ახალგაზრდათა წრე.

პირველ ძირითად ჯგუფში კი თავი მოუყარეთ უფრო მცოდნე ამხანაგებს, რომლებსაც მეცადინეობა პროგრამის მიხედვით არ უძნელდებოდათ.

მეთოდი მეცადინეობისა შემდეგია: ჯგუფებად დანაწილებული ამხანაგები (რომლებიც შედიან პოლიტ-სკოლაში) სკოლის ხელმძღვანელისაგან იღებენ თემას და საჭირო წიგნებს.

ჯგუფს ყავს თავისი ხელმძღვანელი, რომელთანაც ამხანაგები გადიან მიცემულ თემას.

შემდეგ საერთო მეცადინეობის დროს ჯგუფიდან კეთდება მოხსენება და აზრთა გაცვლა-გამოცვლის შემდეგ ხელმძღვანელი უკეთეს ჯამს დამუშავებულ მასალას.

მეცადინეობა სწარმოებს სისტემატიურად კვირაში ერთჯელ.

გ. წ.

## სკოლის გარეშე მუშაობის ხაზი ცვალებად შემადგენლობაში.

ცვალებად შემადგენლობის პირველი შეკრება, როგორც ტერიტორიალური აღმშენებლობა ახალი დაწყებული საქმეა, ამიტომ საჭიროა 100 პროცენტით დავკრიფოთ ენერგია და ყოველ მხრივ ხელი შეუწყოთ მის წარმატებით ჩატარებას.

პირველ ყოვლისა საჭიროა უმთავრესი ყურადღება მიექცეს სკოლის გარეშე მუშაობას ნაწილებში; სასკოლო მუშაობაც ცვალებადელთა შეკრების სამ თვიურ პერიოდში დაკრიფავს მაქსიმალურ ენერგიას, რომ ე. წ. „პოლიტიკური გათვითცნობიერების საკითხი“, დააყენოს სათანადო სიმაღლეზე. სკოლის გარეშე მუშაობის მთელი კურსი გამოიხატება სამ მთავარ დარგში, როგორც არის: პოლიტიკური, სამხედრო და საერთო განათლების სფეროები. ეს სამი დარგი დედა-ბოძს წარმოადგენს, რომელზედაც უნდა აღიზარდოს პროლეტარული-კლასიურ მორალისა, და ეთიკის მიხედვით ცვალებადელი-ტერარმიელი.

**1. საკლუბო აპარატი-ცენტრია სკოლის გარეშე მუშაობისა.**

საკლუბო ორგანიზაციამ უნდა შემოკრიბოს თავის გარშემო ყოველი წვრილმანიც კი სკოლის გარეშე მუშაობის ფორმიდან; ის უნდა გახდეს ცენტრალური ფიგურა, რომლისაკენ ბუნებრივ ინერციით უნდა ილტვოდეს ფართო მასა—ტერარმიელებისა. კლუბმა უნდა აწარმოოს ურთიერთ შეთანხმებული მუშაობა ბიბლიოთეკასთანაც, რომ ამით ტერარმიელებისათვის წიგნის და ლიტერატურის მიწოდების საქმე მოაწესრიგოს. სკოლის გარეშე მუშაობამ უნდა იარ გარემოებას დაეყრდნოს შეკრების პერიოდში:-პირველ დაწყებით მუშაობას ლენკუთხეში და მასიურ მუშაობას. პირველ დაწყებითი მუშაობისათვის უნდა იქმნას გამოყენებული: საუბრები, იმპროვიზაციები, თვითმოქმედების საღამოები, სამხედრო-პოლიტიკურ თამაშები და სხვა. მხოლოდ მასიურ მუშაობის ფორმათ უნდა იქმნას მიღებული: ინსცენიროვკები, მოხსენებები და სხვა და სხვა რევოლიუციონური დრამატიული დადგმები. რაც შეეხება საწრეო მუშაობას, უკანასკნელის მეცადინეობა-მოქმედება მიმდინარეობს შეკრების პერიოდში ჩვეულებრივ-ნორმალური (შესაძლებელია შესუსტებულადაც) კალაპოტში; წრეების რიცხვის გადიდება, კი მოგვცემს შედეგებს, რომელიც არა სასურველი იქნება ჩვენთვის—წრეების მუშაობის ხარისხობრივ მხარის შესუსტებას.

სრულებით არ არის საჭირო, რომ ახალგაზრდა ტერ-არმიელი დავტვირთოთ მუშაობით, არამედ მას უნდა მივსცეთ ფართო გასაქანი პოლიტ-საგანმანათლებლო ასპარეზზე სამოქმედოთ, წინააღმდეგ შემთხვევაში ჩვენ ჩავკლავთ ტერარმიელში, თვითმოქმედების უნარიანობას და სურვილს.

**2 ტრადიცია და ტერ-არმიელი.**

სტატისტიკურ - სააღრიცხვო ცნობებიდან ტერარმიელ ცვალებად შემადგენლობის შესახებ, ნათლად სჩანს, რომ უკანასკნელები მოვიდნენ ჩვენთან წითელ-ყაზარმებში ჩვენი ს. ს. რესპუბლიკის სხვა და სხვა კუთხეებიდან, ერთნი— უფრო განათლებულ და შეგნებულ—გათვითცნობიერებულ მაზრიდან, მხოლოდ მეორენი—კი სრულიად მიყრუებულ სოფლებიდან, რომელთაც წარმოდგენა არა აქვთ პოლიტ-კულტმუშაობაზე. აქ საჭიროა სკოლის გარეშე მუშაკის ფთხილი და მოხერხებულ მიდგომა, რომ არ დააფრთხოს ტერარმიელები სკოლის გარეშე მუშაობიდან—სოფლელ ტერ-არმიელს თან დაყოლილი აქვს მრავალი ტრადიციული წვრილმანი, რომელსაც აუცილებლივ თვალსაჩინო გამოჩენის შემდეგ ანგარიში უნდა გაეწიოს: ყოველ უარყოფით მხარეებს რომელიც ტერარმიელის შინა—ბუნებაში გამსჭვალულია, სკოლის გარეშე მუშაკის სწორი მუშაობის კურსით და მორალურ თანდათან ზეგავლენით, საბოლოოთ აღმოიფხვრება.

დ. ჭან—შვილი.

## სამხედრო საქმე

**რა არის ტანკი და როგორია მისი დანიშნულება.**

ტანკი ჯავშნიანი მანქანაა, რომელიც შეიარაღებულია ქვემეხებითა და ტყვიამფრქვევებით. ტანკი მოძრაობს დამოუკიდებლად მოტორის საშუალებით. მისი სავალი ნაწილი მოწყობილია ისე, რომ შეუძლია გადალახოს ყოველგვარი დაბრკოლება—სანგარი, თხრილი, ხელოვნური დაბრკოლება და სხვა. ერთი სიტყვით ტანკს შეუძლია მოძრაობა უგზო—უკვლოდ თითქმის ყოველ ადგილზე. მაგრამ დაბრკოლება, მაგალითად ორმო თუ ფართოა და ღრმა, მისი დაძლევა ტანკს არ შეუძლია; ტანკის მოძრაობის შეჩერება შეუძლია თხრილს, ორმოს ორი მეტრის სიმაღლით და 3 მეტრის სიღრმით. ამის გარდა ჭაობი, ფართე და ღრმა წყლები სიღრმით 1 ნახ. არშინი და მეტი), ხშირი ტყე—ყველაფერი ეს დიდ დაბრკოლებას წარმოადგენს ტანკისთვის.

იმპერიალისტურ ომში საფრანგეთის ტანკების გამოჩენამ დიდი შთაბეჭდილება მოახდინა და დააშინა პირველად გერმანელები. მართლაც ტანკი წარმოადგენს მოძრავ სიმაგრეს, რომელსაც ადვილად შეუძლია მტრის გამაგრებული პოზიციის გარღვევა.

რატომ? იმიტომ, რომ თავიში ჯავშანის გამო, არ ეშინია საზხანისა და ტყვიამფრქვევის; იმავე დროს კი მას აქვს ქვე ხები და ტყვიამფრქვევები ამნაირად შეიარაღებული გა დის ყოველგვარ დაბრკოლე ზე და აწარმოებს სროლას მაგრებულ მტრის წინააღმდ

მაგრამ ტანკს დიდ ზიანს ა ნებს არტილერიის ცეცხლი. კმარისია ყუმბარის ერთი მო ვედრა, რომ ტანკი დაიღუპ ან ტყვედ ჩავარდეს.

ტანკები იყოფა ორ გვარ მძიმე—შეიარაღებული რა დენიმე დაზგის ტვიამფრქვე ბით ან მსუბუქი ქვემეხებ მათი წონა 1.200 ფუთს აღ ტება; ტანკის მეომართა ჯგ ფი ადის 8 დან 17-კაცამდე მსუბუქი ტანკები შეიარაღებ ლი არიან ერთი დაზგის ტყვი მფრქვევით ან მცირე ყალიბ ქვემეხით და იწონის 600 თამდე; მისი მეომართა ჯგ უდრის 2—3 კაცს.

ამას გარდა არიან კიდევ დიო-ტანკები, რომლებსაც ა რადიო-სადგურები მოცემ უბანში მყოფ ნაწილის უფრ სებთან და, უმთავრესად, მო ნავე ნაწილებთან და ზურგ კავშირის დასაჭერად.

რადიო-ტანკები შეიარაღე ლი არ არიან. მის მეომა ჯგუფის შემადგენლობაში დის მეთაური, მემანქანე და თი ან ორი რადიო-სადგუ მომუშავე.

ვ. მ.

## ქიმიურ ცოდნის გავრცელება ცვალებადელთა შორის.

ბურჟუაზია ყოველ ღონის ძიებას მიმართავს, რომ რაც შეიძლება უკეთ შეაიარაღოს თავის ჯარი, გააუმჯობესოს ტეხნიკა, რომ მომავალ ომში დაამარცხოს მოწინააღმდეგე.

ყველას გაუგონია, რომ გასულ 1914-18 წ. ომში გერმანიამ იხმარა „გაზები“, რომელმაც თავზარი დასცა ანტანტის სარდლობას, რის გამო გერმანია ველური სახელმწიფოც მონათლეს, მაგრამ დღეს ვხედავთ, რომ ამერიკა, საფრანგეთი და ინგლისი დღეში ას ფუთობით ამზადებენ ამ „გაზებს“, რომ მომავალ ომში ის არ შემოაკლდეს.

ავიაციის საშუალებით, შეიძლება იქნეს გატანილი საწამლავი ნივთიერება მტრის ზურგში და დაზიანდეს მთავარი ქალაქები, სოფლები და რკინის გზის სადგურები, იმისათვის, რომ აწიოკდეს სახელმწიფოს მოსახლეობა და ვერ შეეძლოს გაუწიოს დახმარება ჯარს: იარაღით, სურსათ-სანოვაგით და ცოცხალი ძალით. მომავალი ომი ხალხთა შორის ომი იქნება, სადაც მონაწილეობას მიიღებს აგრეთვე მშვიდობიანი მოქალაქე, რომელსაც სამარ პირობებთან პირველ შეხვედვით, თითქო არავითარი კავშირი არ აქვს. ამიტომაა საჭირო, რომ მოხდეს მთელი მოსახლეობის გასამხედროება, რომ ყოველმა მოქალაქემ შესძლოს მოხმარა სამხედრო ცოდნისა და დაიცვას თავი და სახელმწიფო მტრის თავდასხმისაგან. ტერსისტემა ერთად ერთი საშუალებაა, რომელიც შეუწყობს ხელს სახელმწიფოს მშრომელ მოსახლეობის გასამხედროებაში.

მომავალი ომის სურათი საშინელებას წარმოადგენს, მხოლოდ მისთვის ვინც არ შეისწავლის სამხედრო საქმეს. წავიდა ის დრო როდესაც ფიქრობდენ, რომ რათ მინდა მაზხანის შესწავლა, რომ მე მხედარი ხომ არ ვიქნებიო. დღეს ყოველი მოქალაქე ის ქარხანაში თუ დაწესებულებაში მუშაობს, უნდა გახდეს მხედარი, მან უნდა შეისწავლოს სა დრო საქმე, ვინაიდან ლოდ საქმის ცოდნით შ ლება გამარჯვება. მომა ომში დამარცხდება ის მ ლაქე, რომელიც არ შე ვლის სამხედრო საქმეს.

სამი თვე,—რომლის გან ლობაში ჩვენმა ცვალებად მადგენლობამ უნდა გაია ასახული გეგმა, ძლიერ რე დროა თუ უკანასკნე გულ გრილად შეხვდებიან ცადინეობას.

ცვალებად შემადგენლ აგრეთვე უნდა აქტიური ნაწილეობა მიიღოს ქიმიის გობართა საზოგადოების მ ობაში, რომ შეისწავლოს შემდეგ სოფელში გახდეს ტიური წევრი ამ საზოგად ბისა. ქიმიის მეგობართა ს გადოებას მიზნათ აქვს დას ლი ორი ამოცანა: 1) დაი მომავალ ომისაგან საბ ხელისუფლება და 2) აა ძინოს ქიმიური წარმოება, მელიც ხელს შეგვიწყობს სოფლო მეურნეობის აყ ბაში. ჩვენ ვიცით, რომ ნიადაგი აძლევს საზრდოს ნარეულობას, რომლით ვიკვებებით და რამოდენიმ უკუნის განმავლობაში მ ხიადაგისათვის არაფერი არ გვიცია, მიწას სჭირდება გ ყიერება, მეტი რომ მოსავ მოგვცეს და დააფასოს გლ მუშაობა, ამაში კი ხელს გვიწყობს ქიმიური მრეწველ ბა. არის შემთხვევა, რომ სავალს ანადგურებს ველის გვი, კალია და სხვა; ხში რომ გლეხი რჩება უმოსავ რადგან მისი პური კალი ანადგურა; მეურნეობის ბლობას სჭირდება ბრძო ამისათვის კი შეიძლება გამოყენებული „გაზები“. რიგათ ცხოვრების ბევრი გში ქიმიას დიდი მნიშვნე ბა აქვს. ქიმიის მეგ საზოგადოება ისახავს ამ ნებს, ამიტომ ჩვენ ჩავეწეროთ ამ საზოგადოებ რომ გავაძლიეროთ და ავ რძინოთ ქიმიური წარმოე

ქ. მთიელ

# ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

## ᲧᲕᲔᲚᲐ ᲒᲐᲛᲝᲪᲮᲐᲓᲓᲔᲜ.

5-თე ლეგ. 9-რე ასეული.

15 ივნისს ყველა ცვალება-დელები გამოვცხადდით მთა-ვარ შესაკრებ პუნქტზე. ახალ-გაზრდები მხიარულად მიეშუ-რებოდენ და ყველას ერთი და იგივე აზრი უტრიალებდათ თა-ვში, გახდენ წითელი არმი-ის სახელწოდების ღირსეული ატარებელი.

მთავარ შესაკრებ პუნქტზე გვხვდა სამხედრო ორკესტრი. ჩვენს სიხარულს საზღვარი არ ჰქონდა. ცოტა კი გვეთაკილა ერველად სამხედრო დისციპ-ლინა, მაგრამ საერთო საქმის -მშრომელი ხალხის საკეთილ-დღეოთ ჩვენ არაფერი გვაში-ნებს და უკან ვერ დაგვახე-ვებს.

ყაზარმებში ჩვენი მისვლის პირველი დღე ჩატარდა ერთმა-ნეთის გაცნობაში.

ცვალებადელთა შემადგენლო-ბა ჭრელია. აქ თავი მოვიყა-რეთ: ქართველებმა, რუსებმა, სომხებმა და ბერძნებმაც. ყვე-ლას კარგი დამოკიდებულება გვაქვს ერთმანეთთან.

—რას ქვია ქართველი, სო-მეხი, რუსი და ბერძენი—ამბო-ბდენ ზოგიერთი არმიელები—ჩვენ ყველა ადამიანები ვართ—მშრომელი ხალხის შვილები და უნდა გვაინტერესებდეს ერთი საერთო საქმე და მთელი ჩვენი არსებით ხელს შეუწყობთ მის სათანადოთ დაგვირგვინებას.

მეორე დღეს ჩვენ გვინახუ-ლა ადგილობრივი პარტკომის წარმომადგენელმა, რომელმაც აღნიშნა ტერ-სისტემის მნიშ-ვნელობა და მოგვიწოდა ენერ-გიული მუშაობისაკენ.

საპასუხო სიტყვით გამოვიდა ერთი ცვალებადელი, რომელ-მაც ასეულის ყველა ცვალება-დელების სახელით აღუთქვა ამხანაგს, რომ პირნათლად შეა-სრულებენ ყველა დავალებებს.

ტერ-არმიელი.

## ᲨᲔᲐᲙᲔᲗᲔᲗ ᲙᲚᲣᲑᲘᲡ ᲙᲐᲠᲔᲑᲘ!

მე-6-ე ტერ-ლეგიონი.

მართალია მე-6-ე ტერ-ლე-გიონის კლუბს კარები აქვს,მა-გრამ ისეთი ქონებას, სრულე-ბით რომ არ ჰქონდეს ისა სჯო-ბია. როგორც სხვა და სხვა კრე-ბის, ისე მეცადინეობის ჩა-ტარება ხშირად გვიხდება კლუ-ბის დარბაზში, რასაც ძალიან ბევრის ხელს დამტვრეული კა-რები.

ყოვლად შეუძლებელია მისი კარის დაკეტვა, რომ ისევ არ გაა-ღოს ქარმა, რაც იწვევს ხმაუ-რობას. გარდა ამისა კლუბის დარბაზში კარების უქონლობის გამო ხშირად დაინახავთ უსაქ-მო, უცხო ბავშვებს, რომლე-ბიც ხანდისხან ისე თამამდებიან, რომ კლუბის უფროსის კაბი-ნეთშიდაც შედიან.

კლუბის უფროსო! მიიღე შე-საფერი ზომები კარების შესა-კეთებლად, რითაც საშუალე-ბას მისცემ წითელ-არმიელებს იმეცადინონ კლუბში, უცხო ბავშვებს კი აუკრძალეთ უსაქ-მოდ დარბაზში ხეტიალი.

წით.-არმ. მნახველი.

## ᲡᲐᲜᲐᲛ ᲡᲐᲙᲣᲗᲐᲠᲘ ᲗᲕᲐᲚᲘᲗ ᲐᲠ ᲕᲜᲐᲮᲔᲗ, ᲐᲠ ᲒᲕᲯᲔᲠᲝᲓᲐ.

მეხუთე ლეგიონის სკოლა.

სოფლად შვებულებაში დაბ-რუნებული თუ დროებით სო-ფლად მოსული არმიელები გვე-ლაპარაკებოდენ და გვაჯერებ-დენ, რომ წითელი ყაზარმა ბე-ვრ რამეს აძლევს არმიელსო. მაგრამ უხედავათ ამისა მაინც არ გვ-ჯეროდა. გვეგონა განგებ ლა-პარაკობდენ.

საკუთარი თვალით სანამ არ ნახავს კაცი, ძნელია ისე, მაი-ნც ეჭვი შეგივა მოთხრობილი ამბის სიმართლეში.

მაგრამ ამის საშუალებაც მო-გვეცა. საკუთარი თვალით ვნა-ხეთ წითელ ყაზარმაში წარმოე-ბული მუშაობა და მოპყრობა. ახლა კი ეხლა საბოლოოდ დავრ-წმუნდით, რომ არა თუ მარ-ტო ისინი იყვენ ის არმიელები,რო-მლებიც წითელი ყაზარმის კა-რგ პირობების შესახებ გველა-პარაკებოდენ, არამედ ცოტასაც გვიამბობდენ. აქ უფრო მეტ რამეს ვხედავთ.

ჩვენ გვწამს, რომ წითელ ყა-ზარმაში მიღებული ცოდნით, თამამად შეგვეძლება როგორც ჩვენი, ისე მუშათა კლასის ინ-ტერესების დაცვა.

დე, გაუმარჯოს იმ წითელ ყაზარმებს, რომლებიც სათანა-დო ცოდნით აღჭურვილ ახალ-გაზრდობას უბრუნებს თავიანთ სოფლებს. გაუმარჯოს ამ ცოდ-ნის მომწოდებლებს და სახელო-ვან წითელ ჯარს.

ახალწვეული წ.-არმ.

ნოე ლეკვეიშვილი.

## ᲛᲝᲒᲕᲔᲪᲘᲗ ᲮᲔᲚᲡᲐᲬᲧᲝᲔᲑᲘ.

პირველი ლეგიონი.

ლეგიონის 2-რე ასეულის სამზარეულოში არა გვაქვს კარგი ნაჯახები. სულ ხუთი ცალი ნაჯახია ჩვენს განკარგუ-ლებაში, მაგრამ, არც ერთს ხეირიანი ტარი არა აქვს და პი-რები ხომ სულ დაჩლუნგებული აქვთ. წითელ არმიელებს ორდაპირ ხელები ემტვრევათ მათი ხმარების დროს, რაც საგ-რძნობლად აფერხებს მუშაობას.

მოგვაქციეთ ყურადღება. გაალესვინეთ ან გამოგვიცვალეთ ნაჯახები.

ახალწვეული კ. მინდიაშვილი.

## ᲕᲘᲜ ᲒᲐᲛᲝᲐᲡᲬᲝᲠᲔᲑᲡ ᲜᲐᲙᲚᲡ.

პირ. საკავშირო ასეული.

ცალკე საკავშირო ასეული კარგა ხანია საბანაკოდ გავიდა. ამ ხნის განმავლობაში ასეული ყოველ დღიურად დილიდან საღამომდე განუწყვეტლივ აწა-რმოებს მუშაობას ბანაკის მო-საწყობად. მაგრამ სამუშევარი ჯერ-ჯერობით კიდევ ბლომად არის და მუშაობაც თითქმის ყოველთვის იმ დროს გვიხდე-ბა, როდესაც მეცადინეობა გა-თავებულია. ამნაირად ყოველ-გვარ კულტურულ საქმიანო-ბას სრულიად მოვსწყდით. დაა-რსებული გვქონდა სხვა და სხვა წრეები, როგორიცაა: პო-ლიტ-წრე, ლიტ-წრე, სასოფ-ლო სამეურნეო წრე და ამას-თანავე სწარმოებდა პარტ-სკო-ლის მეცადინეობაც, მაგრამ სა-უბედუროთ ყველა ამ წრეების მუშაობა შეწყვეტილია და სა-ინტერესოა თუ როდის დაიწ-ყება წრეების მეცადინეობა, ან კიდევ გვექნება საშუალება, რომ გაზეთების წაკითხვა მაინც მო-ვახერხოთ როდისმე? სამწუხა-როდ ამაზედ ჯერ-ჯერობით არავინ ზრუნავს და წითელ არ-მიელები კი ძლიერ ჩამოვრჩით. ამ გარემოებას ზედ ერთვის კი-დევ ერთი არა სასურველი მო-ვლენა, მაგალითად: ცხრილის მიხედვით აღნიშნულია რომ პოლიტსაათი უნდა ჩატარდეს დილით ჩაის დალევის შემდეგ, მხოლოდ ეს განაკვეთი ისევ ქაღალდზედ რჩება და პოლიტ-საათი კი ყოველთვის ტარდე-ბა მუშაობის შემდეგ, რაც ყო-ვლად დაუშვებელია, ვინაიდან მუშაობით დაქანცული არმიე-ლები პოლიტ-საათიდან ვერა-ფერს ითვისებენ და ისინი სრულიად უნაყოფონი ხდებიან ჩვენთვის.

ასეთ მოვლენებს სისტემა-ტიური ხასიათი აქვს და მის გამოსწორებაზე არავინ ზრუნა-ვს საჭიროა მიექცეს ამას შესა-ფერი ყურადღება ვისგანაც ჯერ არს და გამოსწორდეს ის.

კლდისძ-რელი.

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲙᲝᲚᲘᲡ ᲓᲦᲔᲡᲐᲡᲬᲐᲣᲚᲘ.

21 ივნისს ჩვენმა სკოლამ იდღესასწაულა თავის არსებო-ბის ოთხი წლის თავი.

სკოლის ზეიმს დაესწრენ არმიისა და შტაბების უფრო-სები; აგრეთვე გვეწვიენ წარ-მომადგენლები როგორც არ-მიის ნაწილებიდან, ისე სამო-ქალაქო ორგანიზაციებიდან და ადგილობრივი გლეხობა.

უფ და კურსანტთა შემადგე-ნლობა დიდ ენერგიულ მუშა-ობას ეწეოდენ ზეიმის ჩატარე-ბისათვის. აწყობდენ კარვებს და სხვა და სხვა თვალსაჩინო ადგილებს.

დილის ცხრა საათზე არმიის და შტაბების უფროსებმა და-ათვალიერეს კურსანტების ბა-ნაკი.

უფროსები მიესალმენ კურ-სანტებს. შემდეგ დაათვალიე-რეს სკოლის ლენინის კუთხე, რომელიც როგორც შიგნით ისე გარედან მოწყობილობით მშვენიერი სანახავი იყო. აქ კარვის წინ, ამხ. კუზნეცოვმა გადაუღო ცხენოსან კურსან-ტებს სურათი.

დღის თერთმეტ საათზე კუ-რსანტები მწკრივ-მწკრივად მოეწყვენ და გაეშურენ დი-ვიზიის პლაცზე სადღეგრძელოთ, რომელშიც მონაწილეობას ღე-ბულობდენ როგორც ნაციო-ნალური სკოლები, ისე ლე-გიონების შემადგენლობა.

ალლუმი მიიღო არმიის სა-რდალმა ამხ. კორკმ.

დღის ორ საათზე დაიწყო სკოლის კურსანტების მიერ სპორტ—შეჯიბრი, რომელიც გაგრძელდა ორი საათი.

დღის ხუთ საათზე სტუმრე-ბი და კურსანტები მიწვეული იქნენ სადილზე. მისალოც სა-ზეიმო სიტყვებს დასასრული არ უჩანდა. სხვათა შორის დიდი ყურადღება მიიპყრო არმიისა და შტაბების უფრო-სების სიტყვებმა.

ამხანაგები ითვალისწინებენ სკოლის წარსული მუშაობის გეგმიანობას და სრულიად იწონებენ მას.

შემდეგ მიუთითებდენ წი-თელი მეთაურების მოვალეო-ბაზე და ამბობენ „ჩვენ სრულ იმედს გამოვსთქვამთ, რომ აქე-დან გასული მრავალი მეთაუ-რები მტკიცედ და პირნათლად შეასრულებენ თავიანთ მოვა-ლეობას და ჩაუდგებიან სათა-ვეში ჩვენი წითელ არმიის რი-გებსო“.

ამ სიტყვებმა დიდი აღტა-ცებაში მოიყვანა კურსანტთა შემადგენლობა.

სადილის გათავების შემდეგ გაიმართა ცეკვა თამაში, რის შემდეგ ნასიხარულევი სტუმ-რები და კურსანტები დაუბ-რუნდენ თავთავიანთ ბინებს.

კურს. შ. ხეთელი.

# ᲜᲐᲬᲘᲚᲔᲑᲘᲡ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ ᲑᲐᲜᲐᲙᲨᲘ.

## ᲞᲝᲚᲘᲢ-ᲡᲐᲒᲐᲜᲛᲐᲜᲐᲗᲚᲔᲑᲚᲝ ᲛᲣᲨᲐᲝᲑᲐ 1-Ლ ᲡᲐᲐᲠᲢᲘᲚᲔᲠᲘᲝ ᲚᲔᲒᲘᲝᲜᲨᲘ.

ბანაკად გასვლის შემდეგ, ჩვენს ლეგიონში მუშაობა არ შესუსტებულა, გარდა ორი-სა-მი დღისა, რომლის განმავლო-ბაშიც გვიხდებოდა კარვების მოწყობა და ხალხის დაბინა-ვება.

განსაკუთრებით გამოცოცხ-ლდა მუშაობა, ივნისის პირველ რიცხვებიდან.

ამხ. დემეტრაშვილის ხელ-მძღვანელობით და სამნეო ნა-წილის დახმარებით მოეწყო ორი დიდი კარავი: ერთში მო-თავსდა ბიბლიოთეკა-სამკით-ხველო, მეორეში კი კლუბი, აქვე მეცადინეობენ პოლიტ-საათებში ჯგუფები.

ეხლა თითქმის ყველა ჯგუფს აქვს სათანადო სამეცადინეო ბინა, სკამები, დაფა რუქა და სხვა.

თითეულ ბატარეას აქვს საკუთარი ლენინის კარავი. მოვაწყვეთ აგრეთვე მიწის გა-მოქვაბულში მშვენიერი სცენა.

ამნაირად ტეხნიკური მოწ-ყობილობა, საბანაკო პირობე-ბის მიხედვით—ჩვენ პოლიტ-საგანმანათლებლო მუშაობას—ხელს უწყობს და სავსებით აკ-მაყოფილებს.

გადავიდეთ ეხლა თვით მუ-შაობის შინაარსზე.

პოლიტ-მეცადინეობა.

ლეგიონში ჩამოვაყალიბეთ თერთმეტ ჯგუფამდე, რომლებ-თანაც სისტემატიურად სწარ-მოებს მეცადინეობა.

ჯგუფების ხელმძღვანელად გარდა პოლიტ-მომუშავეებისა დანიშნული არიან მეთაუ-რები.

მეცადინეობა სწარმოებს სი-სტემატიურად.

არც ერთი დღე არ გაგვაც-დენია ჯერჯერობით.

მუშაობს სამი ერთნაირი ჯგუფის კომისია გაზაფხულის და შემოდგომის ახალწვეულთა გამოწვევისათვის.

კომისიებში ვარჩევთ წინ-დაწინ შემუშავებულ კონსპექ-ტებს და აგრეთვე ვადგენთ კოლექტიურად ახალ თემის კონსპექტს.

ჯგუფებში მეცადინეობას ვაწარმოებთ კომპლექსური მე-თოდით გარდა უცოდინართა ჯგუფისა.

ხელს გვიშლის მხოლოდ მასალების უქონლობა ქართულ ენაზე.

გ. წითლანაძე.

(გაგრძელება იქნება.)

## ᲩᲕᲔᲜ ᲠᲐ ᲓᲐᲒᲕᲘᲨᲐᲕᲔᲑᲘᲐ?

სამნეო ნაწილის საყურადღებოთ.

პირველი ლეგიონიდან საკავშირო ასეულის კურსებზე მივლენილი ვართ რამოდენიმე წითელი არმიელი. მაისში როგორც სხვა ჩვენმა ამხანაგებმა, ჩვენც უნდა მიგვეღო ლე-გიონიდან ტანსაცმელი, მაგრამ თითქმის ორი თვე გადის მას შემდეგ და ჩვენ კი მაინც არავინ გვიგონებს.

ჩვენ რა დაგვიშავებია ისეთი, რომ ყველამ მიიღო საზა-ფხულო ტანსაცმლის მთელი კომპლექტი და ჩვენ კი არა. რად შევადგენთ გამონაკლისს?

დღემდე საზამთრო დახეული ტანსაცმელით დავიარე-ბით.

იმედია ამის შემდეგ მაინც მოგვაქცევს ყურადღებას ვი-საც ეს ევალება და დაგვაკმაყოფილებს.

წით. არმ. ა. კაკაბაძე.

## ᲫᲕᲔᲚᲘ ᲙᲐᲕᲨᲘᲠᲘ ᲒᲐᲜᲕᲐᲐᲮᲚᲔᲗ.

პირველი საკავშირო ასეული

ჩვენს ასეულს გასულ წელ-ში საბანაკოდ ყოფნის დროს შეფობის ქვეშ ჰყავდა აყვანი-ლი სოფ. ახალდაბა. რა თქმა უნ-და ზამთრის განმავლობაში სო-ფელთან არ გაგვიწყვეტია კავ-შირი, მაგრამ კავშირი სუსტი იყო. ეხლა კი როდესაც, ხელ-მეორედ გავედით საბანაკოდ ძველი კავშირი ისევ აღდგენი-ლი იქნა. სოფელში ასეულის დრამატიული წრის მიერ დაი-დგა წარმოდგენა. წინასწარ წა-რმოითქვა მისასალმებელი სიტ-ყვები, შემდეგ კი დაიდგა ან-ტირელიგიური ხასიათის პიესა, რომელსაც თითქმის სოფლის მთელი გლეხობა დაესწრო.

ჩვენმა მოსვლამ სოფელში დიდი სიხარული გამოიწვია. მით უფრო სასიხარულოდ და-ურჩათ გლეხობას, როდესაც გაიგეს, რომ ჩვენ ხშირად მო-ვინახულებდით მათ და ყოველ-გვარ დახმარებას გაუწევდით კულტურულ საქმიანობაში.

სამხკორი ვ. ვანელი

## ᲩᲕᲔᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲘᲐᲜᲝᲑᲐ ᲪᲕᲐᲚᲔᲑᲐᲓᲔᲚᲗᲐ ᲨᲝᲠᲘᲡ.

6-სე ლეგიონის 4-ე ასეული.

აღნიშნული ასეული 15 ივ-ნისიდან ცვალებადელთა მიღე-ბის შემდეგ საბოლოოდ ჩამო-ყალიბდა.

როგორც ლეგიონის სხვა ასეულებში ისე აქაც სწარმო-ებს შეუწყვეტელი მუშაობა. პოლიტ-საათები ცვალებადელ-ებთან სისტემატიურად ტარ-დება და ამასთანავე მთავარი ყურადღება ექცევა სამხედრო საქმეს, როგორიც არის სამხედ-რო მსახურთა მოვალეობანი, როგორც სამსახურში, ისე სამ-სახურის გარეშე და სხვა.

უფპოლიტ-და კადრ წითელ არმიელები მხურვალე და აქ-ტიურ მონაწილეობას იღებენ ასეულის შემადგენელ ცვალე-ბადთა გაწვრთნის საქმეში.

ასეულში არიან ისეთი ცვა-ლებადელები, რომლებმაც ჯერ სამხედრო სამსახურის თუ შეიძ-ლება ასე ითქვას არა იციან რა. ამიტომ მთელი ჩვენი ენე-რგია, უნარი და შეგნება აქეთ-კენ არის მიმართული.

ახალწვეულნი სწავლის მოწ-ყურებული არიან, მათ სურთ თავისი ცოდნის უფრო გაფარ-თოება.

ამიტომ მიღებულია ზომები ასეულში წერა კითხვის უცო-დინართა ლიკვიდაციისათვის. წ. არმიელები დაყოფილია ცო-დნისდა მიხედვით ჯგუფებათ (მცირე მცოდნე, მცოდნე და არა მცოდნეთ), რომლებთანაც ვიწყებთ მეცადინეობას ცოდ-ნისდა მიხედვით.

ასეულში არიან აგრეთვე სხვა და სხვა ეროვნებათა წარ-მომადგენლები. მათთანაც სწა-რმოებს მეცადინეობა ნაციონა-ლურ ენებზე.

განწყობილება ახალწვეულ-თა მეტად კარგია.

იმედია ახლად მოსულებიც შეითვისებენ მათ მიერ გადაცე-მულ ცოდნას, გააფართოვებ ნ თავიანთ აზროვნებას და რო-გორც სხვა ასეულების ისე ჩვე-ნი ასეულის ამხანაგები ცოდ-ნით შეიარაღებულები დაუბ-რუნდებიან თავ-თავიანთ სოფ-ლებს.

წით. მეთ. ვლ. გრიგოლია.

## ზომების მიღებაც ასეთი უნდა.

**პირველი ლეგიონის ს მნეო გუნდი.**

ხსენებულ გუნდში ადგილი ჰქონდა შემდეგ მოვლენას: ამავე გუნდის ორი წითელი მოლაშქრე წყლის დასალევათ მისულიყვენ, წყლის მოსაკავებელ ჭურჭელთან და რადაცაზე მოსვლოდათ ჩხუბი. ერთმანეთს თავპირს ამტვრევდენ ეს ამხანაგები, უწყალოდ სცემდენ, მაგრამ გამშველებელი არავინ ყავდათ. იქვე იდგა იმავე გუნდის მწყობრის თავი, ხელები დაეკრიფა და განზე გამდგარი ხარხარებდა. მისთვის, სჩანდა რომ გასართობი იყო ეს მოვლენა. არავითარ ზომებს ის არ ღებულობდა თავისი არმიელების წინაღმდეგ.

მწყობრის თავის ასეთმა საქციელმა ძლიერ აღელვა გუნდის სხვა არმიელები და დიდი უკმაყოფილება დაბადა მათში თავის მეთაურისადმი.

როგორ უნდა შესძლოს ასეთმა მეთაურმა დისციპლინის განმტკიცება ნაწილში? ძლიერ გასჭირდება, თუ სათანადო მოპირნაჭული და ყურადღების მიმქცევი არ გამოუჩნდა მსგავს მოვლენებს.

სამხედრი პ. შ.

## მე-2-რე ლეგიონი.

**სამნეო ასეულის ცხოვრებიდან.**

ჩვენი ასეული არის დაბანაკებული ბანაკიდან დაშორებით, მაგრამ შეძლებისდაგვარად მოწყობილი ვართ. გვაქვს ლენინის კარავი, სადაც არის მოთავსებული სხვა და სხვა ბროშურები, სოფლის მეურნეობის შესახებ და გაზეთები, რომელსაც ვღებულობთ ყოველდღიურად. გარდა ამისა, კვირაში სამჯერ ტარდება პოლიტ-საათი და ჯგუფური მეცადინეობა. სულ არის სამი ჯგუფი: გაზაფხულის, შემოდგომის და წერა-კითხვის უცოდინარნი. ასეთი წესით მეცადინეობა კარგ ნაყოფს იღებს. როგორც ფიზიკურათ მოშუშავე, დილიდან საღამომდი, ჩვენი ასეული მაინც თავისუფალ დროს არ კარგავს და მას ვანდომებთ გაზეთების და ბროშურების კითხვას. კუთხეში ხშირად იმართება საუბრები, ხმა მაღალი კითხვა და სხვა.

მიუხედავად მოუცლელობისა, ლეგიონის სხვა ასეულებს არ ჩამოუვარდებით საერთო მომზადებაში. ასეულში მოისპო დეზერტირობა და სხვა და სხვა ბოროტ-მოქმედება ამის მიზეზია წერა-კითხვის შესწავლა და თანდათანობით განვითარება.

სამნეო ას. წით.-არმ. ვ. ოდიშარია.

## ჩვენი დრამწრე.

**პირვ. საარტილერიო ლეგიონი.**

ბანაკში გასვლის შემდეგ საგრძნობლად ამოქმედდა დრამწრე. ლეგიონის საზაფხულო თეატრში წარმოებულ მუშაობას ენერგიულად ხელმძღვანელობს ამხ. არველაძე. 21 ივნისს თეატრში დადგმული იქნა რევოლიუციონური ხასიათის პიესა, რომელიც მშვენივრად ჩატარდა და არმიელებზედაც წარუშლელი შთაბეჭდილება მოახდინა.

წარმოდგენის შემდეგ გაიმართა დივერტისმენტი, საკუთარი ლექსებით გამოვიდნენ წითელ არმიელები. მღეროდა წითელ არმიელებისაგან შემდგარი ჯგუფი. იყო აგრეთვე ცეკვა თამაში დოლზე და ზურნაზე.

საღამოს დასრულების შემდეგ ამხ. არველაძემ სიტყვით მიმართა საზოგადოებას და აღნიშნა იმის მიზეზები თუ რატომ აქამდე ვერ შესძლეს ამოქმედება.

იმედი გვაქვს ამ დამაბრკოლებელ მიზეზებს არ შეუშინდება ჩვენი დრამწრე და ენერგიულად განაგრძობს თავის საქმეს.

წ. არმ. გრ. ბარათაშვილი.

## ამბები სოფლებიდან.

**დახმარება გლეხებს.**

გორის აღმასკომმა გადასწყვიტა იშუამდგომლოს საქ. სას. სამ. ბანკის წინაშე სოფ. კოშკების (სკრის თემი) 19 დამშეული გლეხისათვის დახმარების აღმოსაჩენათ, სესხის სახით.

**სკოლისა და კლუბისათვის.**

სოფ. ცახის (რაჭა) თემაღმასკომმა იშუამდგომლა სამაზრო აღმასკომის წინაშე უფასოთ ხეტყის მასალის დათმობის შესახებ სკოლის და სასოფლო კლუბის შესაკეთებლათ.

**სანიტარული პირობების დასაცავად.**

რაჭის სამაზრო აღმასკომმა გამოყო ცალკე სასანიტარო კომისია, რომელსაც დაევალა თვალ-ყური ადევნოს მაზრაში სანიტარული წესების დაცვას.

**ლოთობის წინაღმდეგ.**

ფოთის აღმასკომმა გამოსცა სავალდებულო დადგენილება ქალაქში წესიერების დაცვისა და ლოთობის წინაღმდეგ.

**ტელეფონი სოფლად.**

სოფ. ნამანევის აღმასკომმა იშუამდგომლა სამაზრო აღმასკომის წინაშე სოფელში ტელეფონის გამოყვანის შესახებ.

**ამინდის გამომრკვევი სადგური რაჭაში.**

საქ. მთ. ფიზიკური ობსერვატორიის მოწერილობის თანახმად ონის ამინდის გამომრკვევი სადგურის მეორე ხარისხოვან სადგურათ გადასაკეთებლათ სამაზრო აღმასკომმა გადასდო 500 მანეთი.

**კულტმუშაკთა თათბირი.**

ბათომში გაიხსნა აჭარის კულტმუშაკთა თათბირი.

## ახალი ამბავი.

— **ლენინის ძეგლი ზაჰესში.** ტფილისის აღმასკომმა დაადასტურა ზაჰესკომის დადგენილება იქ ლენინის ძეგლის აგების შესახებ და აღნიშნული მიზნით გადასდო 50.000 მანეთი.

— **ქალაქის სამდლიურის ფონდის გასაძლიერებლათ** ტფ. აღმასკომის კომუნალურმა განყოფილებამ გადასდო ათასი მანეთი.

— **ყაზარმები საბავშვო სახლებათ.** დუშეთის ყაზარმების საბავშო სახლებათ გადაკეთების მიზნით და იქ ტფილისის საბავშო სახლების დროებით გადასაყვანათ. ტფ. აღმასკომმა გადასდო 7 ათასი მანეთი.

— **კერძო ვაჭართა სექცია.** ტფილისის საბირჟო კომიტეტმა დაადასტურა ტფილისის ბირჟასთან არსებული კერძო ვაჭართა სექციის შემადგენლობა.

— **მიწ.-მოქმ. კომისარიატის** სასოფლო-სამეურნეო განყოფილება ადგენს რუქას, რომელზედაც აღნიშნული იქნება სოფლის მცხოვრებთა რაოდენობა და სხვა.

— **თემებში მუშაობის გასაცხოველებლათ.** ტფილ. აღმასკომმა გადასწყვიტა მოახდინოს თემაღმასკომების სუსტ-თანამშრომლების და თანამდებობაზე შეუფერებელ პირთა სიის გადასინჯვა მათი გაწმენდის მიზნით.

## მეცნიერება და ტეხნიკა

**გადაშენებულ ცხოველების ჩონჩხები.**

ჩვენი რესპუბლიკის სხვა და სხვა მეცნიერულ მიღწევებთა შორის უნდა აღინიშნოს ისტორიის მიღმა მცხოვრებ ცხოველების ჩონჩხები, რომლებიც არსებობდენ რამოდენიმე ათასი წლების წინად ე. წ. ცარცურის პერიოდში და რომელთა ჩონჩხები ამ ჟამად იხატება ლენინგრადის გეოლოგიურ მუზეუმში.



ამ ჩონჩხებს შორის დიდ შთაბეჭდილებას სტოვებს თავისი გოლიათური მოყვანილობით დიპლოდოკის ჩონჩხი. მისი სიგრძე უდრის 30 არშინს ხოლო სიმაღლე კი 10 არშინს.

ამ ცხოველის ყველა ძვლების წონა უდრის ერთნახევარ ათას ფუთს.

დიპლოდოკის ჩონჩხი აღმოაჩინა ნიუიორკის უნივერსიტეტის ამერიკულმა ექსპედიციამ ჩრდილოეთ ამერიკის ტბებით მდიდარ მიდამოებში და მისი სახე (ასლი) აჩუქეს ლენინგრადის გეოლოგიურ მუზეუმს.

ეს ცხოველი ბალახის მჭამელთა ცხოველების ჯგუფს ეკუთვნის. დიდი ხანი არ არის მას შემდეგ, რაც ამერიკელმა მოგზაურმა მონგოლეთში აღმოაჩინა დიპლოდოკის კვერცხები, რომლებიც მიუხედავად იმისა, რომ მიწაში იმყოფებოდენ რამოდენიმე ათასი წლის განმავლობაში არ გაფუჭებულია.

1915 წ. რუსის ინჟინერმა რეინგარდტმა ამურის ოლქში (ციმბირი) იპოვა მეორე უზარმაზარი ცხოველის დინოზავრის ჩონჩხი, რომელიც სცხოვრობდა რამოდენიმე ათასი წლების წინად.

სურათზე ნაჩვენებია დიპლოდოკის ჩონჩი.

**მთვარის მოდელი.**

ამ უკანასკნელ ხანებში დაამთავრეს და მოთავსებულ იქნა ფილდოვის ბუნების მეტყველების ისტორიის მუზეუმში მთვარის უზარმაზარი მოდელი, რომელიც რამოდენიმე წლის წინად შეუკვეთეს დასამზადებლად იტალიაში. ამ უზარმაზარ სფეროზე 20,000 ნიშანზე მეტია აღნიშნული, რომლებიც სავსებით შეესაბამებიან, აქამდე ასტრონომების მიერ მთვარის ზედაპირზე დანახულ მთის მწვერვალებს, ვულკანების კრატერებს, „ზღვის“ სიღრმეებს და სხვა.

სფეროს დიამეტრი უდრის 25 ფუტს. დაფარულია გიპსით. ამ მოდელზე სამი წლის განმავლობაში განუწყვეტლივ მუშაობდენ რამოდენიმე მოქანდაკე, მხატვრები (ლაპარაკია მოდელის ქერქზე) იტალიის გამოჩენილი ასტრონომების ხელმძღვანელობით. ყველა წვრილმანები გაკეთებულია მოდელზე მთვარის ყველა მდგომარეობაში ყოფნის დროს გადაღებული სურათების მიხედვით. ეს უზარმაზარი სფერო შეფერილია ღია-ცისფერი და ყვითელი ფერით. მას ანათებენ ძლიერ ხელოვნური სინათლის სხივებით, რომელიც იძლევა ნამდვილი მთვარის სრულ ილიუზიას.

**ცდა ორატორებზე.**

ფრანგ მეცნიერმა მარაჟემ მოახდინა ორატორებზე ცდების მთელი რიგი და მიიღო მეტად საინტერესო შედეგები.

ბასები ლაპარაკის დროს ახდენენ დიდ მუშაობას, ვიდრე სხვა ხმები და უფრო ჩქარაც იღლებიან, რადგან ფილტვებიდან ისინი უშვებენ ჰაერის დიდ რაოდენობას. ბასი-ბოხი ხმით მოლაპარაკე სამჯერ უფრო მეტ ენერგიას ხარჯავს, ვიდრე ბარიტონი და 10-ჯერ მეტს ტენორზე.

## ჯანმრთელობის კუთხე.

**წითელ არმიელთათვის ცნობები ჯანმრთელობის შესახ[...]**

2) პირი. ადამიანის პირში მრავლად მოიპოვება ბაქტერიები. მათში ზოგი უვნებელია, ზოგი კი ფრიად მავნე. პირში ბაქტერიებს მრავალი მოხერხებული ადგილი აქვთ საცხოვრებლად და გასამრავლებლად. კბილებსა და კბილებს შუა ადგილში რჩება საჭმლის ნაწილები, რომელსაც დიდი სიამოვნებით ხმარობენ საჭმელად ბაქტერიები.

მათი ამ გვარი მუშაობა იწვევს საჭმლის ნაწილების დაშლას, ლპობას, და ადამიანს მოსდის პირიდგან ცუდი სუნი. გარდა ამის ყოველივე მათგანი მზად არის გადავიდეს ადამიანის სხეულში თუ კი ამისთვის შესაფერი პირობებია. პირის ლორწოიანი კანის სიმრთელის დარღვევა იქნება. ამისთანა შესაძლებლობა კი ხშირად არის. მაშასადამე თუ გვინდა რომ აქედანაც თავი დავიფაროთ საჭიროა დავიცვათ პირის სისუფთავე. ეს კი შესაძლებელია, მით, რომ ყოველივე საჭმლის მიღების შემდეგ, გამოვირეცხოთ პირი, კბილები და მათ შუა მდებარე ადგილები გავისუფთაოთ.

3) წყალი და საჭმელი. ზევით ვსთქვით, რომ ბაქტერიები მრავლად არიან წყალში, მცენარეებზედ, ხილზედ და სხვა-საგნებზედ. რომ ყველა ამათი საშუალებით არ შევიტანოთ ბაქტერიები სხეულში საჭიროა ყველა ეს გასუფთავებული მივიღოთ. წყალი ნადუღი უნდა ვიხმაროდ, საჭმელი კარგათ მოხარშული, მწვანილი, ხილი ხმარების წინ კარგათ უნდა გავრეცხოთ ნადუღი წყლით, მაშინ გარანტია გვექნება, რომ საჭმელთან ერთად მივიღებთ სულ მცირე რიცხვს ბაქტერიებისას, რომლებიც გზა და გზა საჭმლის გვლისას დაიხოცებიან. მაგრამ ცარიელი ხარშვა და გარეცხვაც არასფერს გვიშველის თუ საჭმლის მიღების წინ ხელებს არ ვისუფთავებთ. ხელებზედ, რომლითაც ვმუშაობთ რასაკვირველია აუარებელი ბაქტერიები იქნებიან, და დაბანვა-დას[...] თავება მათ მოგვაშორებს.

4). ჰაერი. უნდა ვეცად[...] რომ ჰაერი, რომლითაც ვს[...] თქვით იყოს სუფთა, რად[...] ნაც უსუფთაო ჰაერში მრ[...] ლად მოიპოვებიან იმისთ[...] საშიში ბაქტერიები, რო[...] რიც არის ჭლექის, ფილტ[...] ბის ანთების და სხვა. უ[...] ჩქარ-ჩქარა გავაღოთ სარკმე[...] რომ სუფთა ჰაერი მეტი ი[...] ოთახში, უნდა ვეცადოთ[...] ავამტვეროთ, რადგანაც [...] ვერში უფრო ბევრია ყოვ[...] ნაირი ბაქტერია ვიდრე ს[...] გან.

5). ნიადაგი. ნიადაგის ზ[...] პირში ცხოვრობენ და მრა[...] დებიან იმ გვარი ბაქტერ[...] როგორიც არის ციმბირის [...] ნის ბაქტერია და ბაქტერ[...] რომელიც ავადმყოფის გა[...] შებას იწვევს. ბაქტერია [...] ტანუსისა ყველა თქვენგა[...] ენახვება, რომ სოფელში, [...] ჭრილ ალაგს ადამიანს [...] რიან ხოლმე მიწას, რომ [...] ხლი შესწყვიტონ. ახლა რო[...] გავიგეთ თუ რა ჯურის ბაქ[...] რიები ცხოვრობენ ნიადაგ[...] ზედაპირში, ადვილი წარმოსა[...] გენია, თუ რამდენად მავ[...] ბელი და საშიშია ას[...] საქმე.

6). მწერები. ისე შეუძ[...] ბლობის გამო არა, როგორ[...] განუვითარებლობის გამო [...] ვიათი გლეხკაცის სახლში [...] შეგხვდებათ კბენარი (ტილ[...] რწყილი და ბაღლინჯო [...] აუცილებელია. ჩვენმა გლე[...] რომ იცოდეს რომ ეს მწერ[...] ბი ავრცელებენ პარტახ[...] ტიფს, შებრუნებით ტი[...] ყვავილს, შავს ჭირს, მა[...] ყველა ღონეს იღონებდ[...] რომ თავიდან მოეცილებ[...] ისინი. რომ იცოდნენ რ[...] კოღოს გადააქვს მალარია [...] შინ ასე დაუდევრად არ მ[...] კიდებოდნენ საქმეს, და ა[...] დისინ არც ერთი ჭაობი-სად[...] მრავლდება კოღო-ამოუშ[...] ბელი არ დარჩებოდა.

(გაგრძელება)

ექ. გარსიაშვილი.

## პასუხი შეკითხვაზე.

**წითელ არმიელ იაკ. კაკაბაძეს.** თუ თქვენ წარმო[...] გენთ საბუთს, რომ თქვენი და კანონიერად იმყოფება თქ[...] ხარჯზე, მაშინ თქვენ შეგიძლიათ უფასოთ მიიღოთ საექ[...] დახმარება.

## ვის აქვს საწინააღმდეგო.

1-ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში შემოტანი[...] აქვთ განცხადება პარტიის კანდიდატობიდან პარტიის წევრად დარიცხვის შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) თავართქილაძე თედო[...] და 2) მიტელ-მაიერი ანდროს.

ამავე კომუჯრედში შემოტანილი აქვთ განცხადება კომ-პარტ[...] კანდიდატათ მიღების შესახებ შემდეგ ამხანაგებს: 1) ჯოხაძე ივ[...] მცხოვრები ქუთაისის მაზრის სოფელ ნასახულევის, 2) კენჭაძე [...] ტონ მცხოვრები ქ. ტფილისში სოფ. მამუკას. 3) ჩიჩუა კალის[...] ტეს მცხოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. სამებაში. 4. თოხაძე ივ[...] მცხოვრები ოზურგეთის მაზრის სოფ. ვანის.

ვისაც რაიმე საწინააღმდეგო აქვს დასახელებელი ამხანაგ[...] პარტიაში და პარტიის კანდიდატათ მიღების შესახებ, გთხოვთ [...] ცნობონ 10 დღის განმავლობაში შემდეგი მისამართით:

**1 ლი ცალკე საკავშირო ასეულის კომუჯრედში**

პასუხისმგებელი რედაქტორი ლ. ჩანტლაძე.